საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-607

05/05/2021

ქ. თბილისი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო სურების მიმდებარედ სს „სუფსა ენერჯის“ „მდ. ბარამიძისწყალზე 7.8 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ბარამიძე ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო სურების მიმდებარედ სს „სუფსა ენერჯის“ მდ. ბარამიძისწყალზე 7.8 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ბარამიძე ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N19 (22.04.2021);
2. სს „სუფსა ენერჯი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N19 (22.04.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „სუფსა ენერჯის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „სუფსა ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი